საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-198
2014 წლის 13 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის №2-3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის №2-3 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი, 14.01.2011, სარეგისტრაციო კოდი 040030000.22.032.016006) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „თ^{1}“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ^{1}) უფლებამოსილია სააგენტოს თანამშრომელთათვის დაადგინოს დანამატი, რომლის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეთანხმებით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ დანელია**